სამშობლო

სამშაბათი
29 სექტემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. - ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად [illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 186 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 186

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".**
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.**

პორფირე ნიკოლოზის ძე სირაძე და შვილები მისი მარგარიტა; არსენა და კოსტა ძოძუაშვილები; ნიკოლოზ იოსების ძე, დიმიტრი, ალექსანდრე, ბართლომე და ვასილ ნიკოლოზის ძენი სირაძეები; ელიზბარ და პელაგო მელაძენი; დოდო, პელაგო, ეფემია, ელისი და პირწკილა სირაძეებისა; ლიზა და ოლღა ძოძუაშვილებისა; ბაბილინა ხარაბაძისა და ბესარიონ ხარაბაძე, — გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა, პირველი უსაყვარლესი მეუღლისას, მეორე საყვარელი დედისას, მესამე და მეოთხა ძვირფასი დისას, დანარჩენი თორმეტი მოსიყვარულე რძლისას, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე მულისას, ხოლო უკანასკნელი ორი დაუვიწყარი ბიცოლას

თეკლე დავითის ასულის სირაძისას,

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია სამშაბათს, 29 ენკენისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე, ბებუთის ქუჩაზე საკუთარ სახლებში, საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ მთავარ-ანგელოსის ეკლესიაზე დასაკრძალავათ.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე.

ღრმათ დამწუხრებულნი პირისუფალნი მასწავლებელი იოსებ თადეოზის ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ვერა ალექსის ასული, შვილი მათი ნაფიცი ვექილის თანაშემწე შალვა იოსების ძე სანებლიძე და მეუღლე მისი ალექსანდრა ალექსის ასული, გულითად მადლობას უძღვნიან მათ, ვინც პირადი დასწრებით, დეპეშით თუ წერილობით მონაწილეობა მიიღო მათი, პირველთა, დაუვიწყარი შვილის, მეორის ძვირფასი დის, ხოლო უკანასკნელის საყვარელი მულის უდროოთ გარდაცვალებულის კურსისტკის

ნინოს

დაკარგვით გამოწვეულ გამოუთქმელ მწუხარებაში. 1—1—3012

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: სასანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.

მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.

მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

სერაფიონ მ. დადუნაშვილი

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

ქ. ქუთაისი.

ექიმი ქალი ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები.
თვ. 975

ექიმი **გ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ელექტრო **„რადიუმი"** თეატრი

ორშაბათიდან, 28 სეკტემბრიდან, მხოლოდ სამი დღით, განსაკუთრებით მოზრდილთათვის, ნაჩვენები იქნება ახალი პროგრამა.

ლეონ დრეი,

ქალთა გულის მომხიბვლელი.

ი. იუშკევიჩის მოთხრობიდან. დიდებული სურათი 6 ნაწილათ.

უმთავრეს როლებში: ლეონ დრეი—ნ. მ. რადინი, ლეონის მამა—ბ. ბარისოვი, ლეონის დედა - ქ. ხალატოვისა, ლეონის ექვსი მსხვერპლი როლებში: ქ. ო. რ. რეიზონი, ლისენკო და ცნობ. მსახ. ქალი ლონან ბაუერი, ნელსკაია, დოლინინა და ბრენდერი.

1 ნაწ. ბედის ნებიერი. 2—ინტრიგის გზაზე. 3—სილამაზის ძალა. 4—ვნების მორევში. 5—სისხლით გარეცხილი სირცხვილი. 6—ლეონის დღესასწაული.

ქალაქის თეატრი. ხუთშაბათს, 1 და პარასკევს, 2 ოკტომბერს

„ქართული დრამა".

წარმოდგენილი იქნება

სეზონის დასასრული.
ორჯერზედიზედ

ი. გედევანიშვილის ცნობილი პიესა

სინათლე.

5 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი საბენეფისოთ.

დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

ანონსი: მზადდება „კაი გრაკხ" და ურიის სისხლი.

3—1

რეჟისორი **შ. დადიანი.**

1915 წლის 1 **ოქტომბრიდან** გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მეგობარი"

გ. მაიაშვის და კიტა აბაშიძის უახლოეს მონაწილეობით.

გაზეთის ფასი წლიურად 8 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.

რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. ჰილაძის სახლი. „მეგობარი"-ს რედაქ. რედაქტორ გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

გაიხსნა 15 ენკენისთვიდან **საკანდიტრო**

„რეიმსი" და „გრანდ-კაფე"

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით. 8—4

„სინათლის" საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ომი

(პეტ. ღეპ. სააგენტოსაგან)

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. შავი ზღვის ნაპირებზე, ხოკის სამხრეთ-დასავლეთით; ტორტუმის რაიონში მოწინავე რაზმთა შეტაკებაა. მელიაზგერის ჩრდილო დასავლეთით, ხაოლელის ტბასთან, რუსთა ცხენოსნებმა თხრილებიდან ამოჰრეკეს ოსმალთა ახეული და ქურთების ცხენოსნები. რუსის ჯარებმა მიაღწიეს ვანის ტბის ჩრდილო ნაპირებს. დანარჩენ ფრონტზე შეტაკება არ მომხდარა.

პეტროგრადი, 25 ენკ. ოფიციალი. რუსთა ზემებიდან მლოვის რაიონში ჩააჩუმეს გერმანელთა ბატარეები. დვინსკთან ბრძოლა არ შეწყვეტილა. ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელებმა მკაცრი იერიშები მიიტანეს პონევეჟიდან გამოსულ რკინის გზის მხარეს. სოფ. გარბუნოვკასთან გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. მათ ძალა მოიკრიბეს და ახალი იერიშით როგორც იყო ხელთ ჩაიგდეს რუსთა თხრილების ერთი ნაწილი. სამაგიეროდ რუსებმა თავის მხრით სპრევგინის წინ თხრილებიდან ამოჰრეკეს გერმანელები. დვინსკის შარა გზაზე შეუწყვეტელი ბრძოლაა. მთელს დვინსკის რაიონის ფრონტზე ორივე მხრით მძაფრი და შეუწყვეტელი საარტილერიო სროლაა. ილოკსტის ტბის რაიონში, დრისვიატთან, სმორგონ-კრევოს რაიონებში მძაფრი ბრძოლა ოდნავაც არ შესუსტებულა. რუსებმა რამდენიმე გაიმარჯვეს მდ. სპიაგლიცის რაიონში იბრიპიატზე ნევილთან და დაიპყრეს სოფ. კომორა. ჩარტორისკის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში ცხარე ხიშტით ბრძოლა მოხდა. მიუხედავათ ტყვიისმფრქვეველთა ცეცხლის ქარიშხალისა და მათი კონტრიერიშებისა, რუსებმა მაინც დაიპყრეს მათი პოზიციები; ამ ბრძოლის დროს ტყვედ წამოყვანილია 1,800 ჯარისკაცი. აფიცერთა და ტყვიისმფრქვეველთა რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. დუბნო-ლუცკთანაც 1,500 ტყვე წამოიყვანეს, აქედან 19 აფიცერია და 5 ტყვიისმფრქვეველი. მდ. იკვის ნაპირებზე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ რუსებმა აიღეს სოფ. სოპანოვი. აქ ტყვედ წამოყვანილია 3 ოფიცერი და 253 ჯარისკაცი სამი ყუმბარისმფრქვეველითურთ. ამას მტრის კონტრიერიში მოჰყვა, მაგრამ დროზე მოგერებულ იქმნა. სოფ. სემიკოვცე, ტრანოპოლის სამხრეთ-დასავლეთით, აღებულია რუსების მიერ. ბუჩაჩის აღმოსავლეთით ერთი სიმაღლის იერიშის დროს ტყვედ წამოყვანილია 300 კაცი ათი აფიცრითურთ.

ბალტიის ზღვა. ინგლისელთა წყალქვეშამ გერმანელთა სანაპიროებზე დაღუპა მტრის ერთი ტრანსპორტი.

კოპენჰაგენი. 27 ენკ. მთავრობამ მოახდინა განკარგულება, რომლის ძალითაც დანიის გემებმა უნდა იქონიონ განსაკუთრებული ეროვნული ნიშნები, რადგანაც გემები გაშინჯული იქნებიან პაეროპლანებისაგან. ასეთი ნიშნები გემებს გაკეთებული ექნებათ, როგორც ბორტების გვერდებზე, ისე კაპიტნის დასადგომ ხიდზე. გაზეთები იტყობინებიან, რომ უკანასკნელ დღეებში ჩრდილო ზღვაში ინგლისის გემებმა გერმანელების

10 ტრალერი დახვრიტეს და 42-კი მრიგში მიიყვანეს. ბევრ ტრალერს მოულოდნელათ თავს დაესხენ გემები, როდესაც პირველნი ნაღმებს აწყობდენო.

ლონდონი. 26 ეკენ. ფრენჩი იტყობინება, რომ 12 ეკენ. მტერი განუწყვეტლათ უშენდა ყუმბარებს. ჩვენს ახალ თხრილებს ლაბასეს არხის სამხრეთით და ამავე დროს აწარმოებდა განმეორებით იერიშებს ხელით სასროლი ყუმბარების საშუალებით ჩვენ მიერ დაკავებულ ჰოჰენცოლერნთა რედუტის სამხრეთის ნაწილში. ყველა იერიში მოვიგერიეთ. მიუხედავათ მტრის ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, ჩვენ წინ წავიწიეთ ლოოსის ჩრდილო აღმოსავლეთით მაღლობ 70 და გოლიუხის შუა, სადაც დავიკავეთ ადგილი სივრცით 500—1000 იარდამდი. გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, მტერმა ენერგიულათ დაუშინა არტილერიის ცეცხლი მთელს ახლათ დაკავებულ ადგილს და შემდეგ ქვეითა ჯარმა მთელი რიგი იერიშები მიიტანა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ყველა იერიში მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ მტერს. ამის შემდეგ ჩვენ კონტრიერიშით ხელში ჩავიგდეთ გერმანელების თხრილები 500 იარდის მანძილზე სტელიეს დასავლეთით. ჩვენი ხაზის წინ ბრძოლის ველზე მოკლულთა ბევრი გვამია დაყრილი მტრისა. ჩვენ, შედარებით მტერთან, უმნიშვნელო ზარალი მოგვივიდა.

პარიზი. 27 ეკენისთვე. ბულგარეთის რწმუნებული, საბერძნეთის საქმეების გამო, გუშინ საღამოთი შვეიცარიას გაემგზავრა.

სტოკჰოლმი. 27 ეკენ. გუშინ საღამოთი ლონდონიდან უკან დაბრუნდა ფინანსთა მინისტრი ბარკი. კვირას ელჩ ნებლიუდოვთან მინისტრის პატივსაცემლათ გამართვენ საუზმეს, რომელზეც მოწვეული იქნებიან შვეციის გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრები.

ათინა. 27 ეკენ. გაზეთი „პატრის“ დიპლომატიური წყაროდან გაუგია, რომ 4 ეკენისთვეს პრინც გოგენლოეს სოფიაში ყოფნის დროს გერმანიისა და ბულგარეთის შორის ხელშეკრულება დაიდვა, რომლის ძალითაც ბულგარეთი მიიღებს სერბიის მაკედონიას პრიზრენიდან ცარიბროდამდი, რომელშიაც შევლენ მონასტირის, გებრელინის და დოირანის ოლქები; გარდა ამისა მიეცემა საბერძნეთის მაკედონია სოლუნით, ვავლითა და დრომით.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 26 ეკენ. საღამოს ოფიც. ცნობა. დილით გერმანელებმა ლოოსის წინ მდებარე ჩვენი თხრილების წინააღმდეგ იერიშები განაახლეს, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. არტუაში მთელს ფრონტზე მთელი დღის განმავლობაში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა, რასაც ჩვენი არტილერია მარჯვეთ უპასუხებდა და კიდევაც ჩააჩუმა. საარტილერიო ბრძოლას ქვეითა ჯარის იერიშები არ მოყოლია. შამპანში წარმატებით მოვიგერიეთ მტრის კონტრიერიში და გავფანტეთ მოპირდაპირის რაზმი, რომელიც ხელახალ იერიშისათვის ემზადებოდა. არგონებში, ფურდერარის რაიონში, მაასის მარჯვენა ნაპირზე კალონმკსკის თხრილებამდი და ეპარჟის რაიონში ბრძოლა ხდებოდა ხელის სასროლ ყუმბარებით. ლოტარინგიაში რელიონისა და ლენტრეს ფრონტზე ხელახლათ დავიკავეთ თხრილები, სადაც მტერი გამაგრებული იყო გუშინდელ იერიშის შემდეგ.

გავრი. 26 ეკენ. ბელგიის ოფ. ცნობა მოპირდაპირის არტილერია სუსტათ მოქმედებდა. ჩვენ გავფანტეთ მტერი, როდესაც იგი სიმაგრეებზე მუშაობდა.

პარიზი 26 სეკტემბერი საღამოს ცნობა იუწყება, რომ გერმანელების დანაკარგი ლოოსის პოზიციების წინააღმდეგ ბრძოლაში ძრიელ თვალსაჩინოაო.

ჩვენ შევინარჩუნეთ ყველა უკანასკნელ დროს აღებული პოზიციები.

ძლიერი არტილერიის სროლა იყო სეკტორ ლიპენში და აგრეთვე კანევერის და უევრის რაიონებში. შამპანში გერმანელების კონტრ-იერიში ფირი ნაკარის აღმოსავლეთით შეჩერებულ იქნა.

ლოტარინგიაში მტრის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

პარიზი. 27 ეკენ. გერმანელები, ძლიერი არტილერიის ცეცხლის დაშენის შემდეგ, შეეცადენ ლოოსის წინააღმდეგ იერიშის მიტანას, მაგრამ დიდი ზარალით უკუქცეულ იქნენ. შამპანში, ტაგიურის სამხრეთ აღმოსავლეთით, ჩვენ შესამჩნევათ წინ წავიწიეთ და დავიკავეთ სიმაგრე, ტრანშეით წოდებული, ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე თხრილი ორი სიმაგრით, რომელიც იყო გაკეთებული კონცხზე. წამოვიყვანეთ ტყვეთ 20 კაცი, ყუმბარებისა და ტყვიის მტყორცნელები. დასავლეთ არგონებში, ლეპრეტის ტყეში და აგრეთვე ვოგეზებში და მის გარშემო მდებარე მიდამოებში მხოლოდ საარტილერიო სროლა იყო.

სოფია. 22 სექტემბერი. ბულგარეთის მთავრობამ რუსეთიდან გაგზავნილ ულტიმატუმზე მეფის მთავრობამ ენერგიული პროტესტი გამოაცხადა მისდამი მიწერილ ბრალდებაზე თითქო მან ქვეყნის ბედი გერმანელების ხელში ჩააგდო.

ბულგარეთის მთავრობა კატეგორიულათ უარსა ჰყოფს გერმანელ და ავსტრიელი აფიცრების სამხედრო სამინისტროში და შტაბებში ყოფნაზე, თუმცა დარწმუნებულია, რომ კეძრით მიღება სამხედრო სამსახურში უცხოელ აფიცრებისა არავითარ მტრობას და დამოუკიდებლობის წინააღდეგობას არ წარმოადგენს.

პეტროგრადი. 26 სექტემბერი. ბულგარეთის მთავრობის პასუხი რუსეთის ულტიმატუმზე მოწმობს თუ როგორ გულით სწადიათ მეფე ფერდინანდის მთავრობას და მ. რადოსლავოვისას უარყონ ის თვალსაჩინო ფაქტი, რომლის გამართლებაც მათ არ შეუძლიათ ქვეყნის წინაშე.

ბულგარეთის სამხედრო სამინისტრო თუ რამდენათ არ სარგებლობს გერმანელებისა და ავსტრიელების ღვაწლით ამას ამტკიცებს ის რადიოტელეგრამმა, რომელიც პოზიციიდან ბულგარეთში იყო გაგზავნილი. რაც შეეხება რადოსლავოვის მიერ ბულგარეთის გერმანელების ვალში მიცემას, რომელსაც ის უარსა არ ჰყოფს, ეს იმას ამტკიცებს, როცა ერთი მებრძოლი სახელმწიფო ნეიტრალურ სახელმწიფოს ფულით ხელს უწყობს, რომ მისგან რაიმე დახმარებას გამოელის. რაც შეეხება ცბიერ სიტყვებს, რომ ბულგარეთის მთავრობა მჭიდრო კავშირს იცავს რუსეთისადმი, ამას საიმპერატორო მთავრობა 24 ეკენისთვიდან უარყოფს.

რომი. 25 სეკტემბერი ანიჟემისა და ბრენტის შუა ჩვენი ჯარის მოქმედება გრძელდება ძლიერი არტილერიის ცეცხლის დახმარებით.

გაილიას და ძომბონეს მაღლობზე პლეცის აუზთან მტერს ამ დღეებში სიმაგრის აღმართვა სწადდა, მაგრამ ჩვენმა ცეცხლმა ამის საშუალება მოუსპო.

24 ამ თვეს მარჯვე შეტაკება ჰქონდა ჩვენს მცირე რიცხოვანს რაზმს. ჩვენ დავატყვევეთ 76 ტყვე.

ავსტრიელმა ჰაეროპლანებმა ისტიკის მიდამოში ყუმბარები ისროლეს და აგრეთვე სადგურ სერვინიანოში, სადაც 5 ჯ. კაცი დაჰჭრეს.

პეტროგრადი. 27 ეკენ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ჩვენმა ორმა ნაღმოსანმა, რომელნიც ანატოლიის ნაპირებთან იყვნენ პურით დატვირთული ოსმალების 19 იალქნიანი გემი დაღუპესო. ერთი მათგანი დატვირთული იყო სამხედრო სურსათით. თუთხმეტი კაცისაგან შემდგარი კამანდა სევასტოპოლში მიიყვანეს, დანარჩენები ნაპირებისკენ გაიქცენ ნაღმოსნების მიახლოებისას.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 27 ეკენ. დილის ოფიციალური ცნობა. სუშეს აღმოსავლეთით მთების ქედებზე და ლილისკენ მიმართული გზატკეცილის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ჟივანშის ტყეში პატარა სიმაგრის წინააღმდეგ მომართული იერიში მტრისა მოვიგერიეთ.

სეკტორ ლიგონში თხრილებს შუა გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს ხელით სასროლ ყუმბარებით. უაზსა და ენს შუა ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. ლოტარინგიაში იმ თხრილების რაიონში, რომელიც გუშინ ხელახლათ ჩავიგდეთ ხელში, თავგანწირული ბრძოლა სწარმოებს ნაღმებითა და ხელის სასროლ ყუმბარების საშუალებით. დანარჩენ ფრონტზე ღამემ წყნარათ გაიარა.

აღმოსავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი 27 ეკენ. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. დვინსკის ჩრდილოეთით რკინის გზის სადგურ იცგალს მტრის ჰაეროპლანმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა. სოფელ პოშილინოსთან ბრძოლის დროს ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 150 გერმანელი და ერთი ტყვიის მტყორცნელი. სოფლებ პოშილინოსა და გარბუნოვკის რაიონში გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ძლიერ გამწვავებული ბრძოლა იყო. ბრძოლა საღამოთი მისუსტდა, სოფ. გარბუნოვკა ხელიდან ხელში გადადიოდა და ბოლოს ჩვენ დავსტოვეთ მტრის ცეცხლით შევიწროების გამო. ერთ-ერთ იერიშის დროს ამ სოფელთან ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 7 ტყვიის მტყორცნელი და 250 კაცი. ამ სოფლის აღმოსავლეთით მტრის მიერ მოტანილი იერიშები შევაჩერეთ. დვინსკის სამხრეთ აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის ჰაეროპლანი მოპირდაპირის განაკში ჩამოაგდო. დვინსკის რაიონიდან პრიპიატამდი არაფერი ცვლილება მომხდარა. ხოვიჩის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში ჩვენი მზვერავები ღამით მიადგენ მტრის თხრილებს შეიჭრენ შიგ, ორასამდი კაცი აჩეხეს, და ტყვეთ წამოიყვანეს 433 ჯარის კაცი სამი აფიცრით. ჩვენმა მზვერავებმა დაკარგეს მხოლოდ 50 კაცი. პრიპიატის სამხრეთით მტერმა დაიკავა სოფელი ჰერედნაიოვოლია. მდ. სტირზე, ჩარტორიისკის ზემოთ, მტერმა შესძლო მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლა. კოლკის სამხრეთ აღმოსავლეთით, კოლკ-მილაშოვის რაიონში ბრძოლა გძელდება. მტრის კონტრიერიში სოფელ გარაინოვკის რაიონში მოგერებულ იქნა. ბუკოვინაში, ბურაჩის აღმოსავლეთით მტერზე ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა იერიში მიიტანა და უკუაქცია. ამ დროს ხელში ჩაიგდო 150 ტყვე.

კავკასიის ასპარეზი.

თბილისი. 27 [illegible] რაიონში, მდ. არხავზე, სოფელ ხოპის სამხრეთით რამდენიმე წვრილი შეტაკება მოხდა. ამავე მდინარის ჭალებში საარტილერიო სროლაა. ტორტუმის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით ოსმალოთა მზვერავები ჩვენმა ცეცხლმა გაფანტა.

ომის ამბები.

ხმები.

პეტროგრადში, ზოგი საელჩოს გადმოცემით, ხმა გავრცელდა, ვითომ ბულგარეთის ბევრ ქალაქში დიდი არეულობა დაიწყო, რის გამოც ამ ქალაქებში საალყო წესები გამოაცხადესო.

— ბულგარეთის დესპანი პეტროგრადიდან საზღვარ-გარეთ წავიდა.

— იტალიის გაზეთების ცნობით, ათინაში და პირეაში საალყო წესები გამოაცხადეს.

— რუმინიის მცხოვრებნი მობილიზაციას მოითხოვენ.

— ბულგარეთის მთავარ შტაბის ხელმძღვანელათ გერმანელი პოლკოვნიკი მასოუ დანიშნეს.

— ხმა ისმის, რომ ბულგარეთმა სერბიას ულტიმატუმი უკვე წარუდგინაო.

— დიპლომატები საბერძნეთის პოლიტიკის შეცვლას დედოფლის გავლენას აწერენ. საბერძნეთის დედოფალი ვილჰელმის დაა.

— დაჟინებით ამბობენ, რომ ვილჰელმსა, ფერდინანდსა (ბულგარეთის მეფე) და კონსტანტინეს (საბერძნეთის მეფე) ურთიერთშორის საიდუმლო პირობა აქვთ შეკრულიო.

— ბულგარეთმა დუნაის ნავთსადგურები ჩაკეტა. ათინაში გერმანიის პრინცს მოელიან.

— „რეჩი“ სწერს: „რუსეთის მხნე და გაბედულ-დიპლომატიას ახლა დიდი საქმე გაუჩნდა: მან უნდა გამოიყენოს ბალკანეთის ხალხთა ის ძლიერი მოძრაობა, რომელნიც ახლა იქ იწყება. საბერძნეთის და ბულგარეთის ხალხი რუსეთის მხარეზე დგას, მის წინააღმდეგ მხოლოთ ამ ქვეყნების უცხო დინასტიები მოქმედებენ“.

(კ. ს.)

პასუხი ვერ მოისმინეს.

სოფიიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ რუსეთის ულტიმატუმის პასუხი რადოსლავოვმა რუსეთის დესპანს სავინსკის წარუდგინა. როცა სავინსკიმ დაინახა, რომ პასუხი ბულგარულ ენაზე იყო და-

შეცდომის გასწორება

დღევანდელ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში რამდონჯერმე შეცდომით აწყობილია **ჯარი** უნდა იყოს **ძარი** (воздутнит насось) უნდა იყოს: **воздушный насосъ** დაბეჭდილია: **იუნებას**— ბუნებას **ბანავს**—ბანდავს.

მოვაგონებთ ჩვენს წლიურ ხელის მომწერლებს, რომ უკანასკნელათ გადასახდელი ხვედრი ფული პირველ ოკტომბრამდი წარმოადგინონ.

„Новое слово“.

(ახალი რუსული სახელმძღვანელო ქართული სკოლებისათვის ს. ოცხელისა*).

I

რუსული ენა იმდენად საჭირო და სასარგებლოა ქართველებისათვის, რომ მისი სწავლების გასაადვილებლად გადადგმული ყოველი ნაბიჯი ფრიად სასიხარულო და სასურველია. ერთ ასეთ ნაბიჯს წარმოადგენს ბ-ნის ოცხელის „Новое слово“, რომელიც ეხლახან გამოვიდა ქუთაისში. მართალი რომ მოგახსენოთ ასეთი სახელმძღვანელოს გამოსვლა სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის. ჩვენ მასწავლებლობაში არა ერთხელ გამიგონია საყვედური Руское слово“-ს მეორე ნაწილზე და „დედა—ენის“ ანბანზე, მაგრამ „Руское слово“-ს პირველი ნაწილით თითქმის ყველა კმაყოფილი იყო. და გოგებაშვილის ბუნებრივ-თარგმნითი მეთოდი ხომ წუნდაუდებელი იყო მასწავლებლობაში. ძალიან გამაცვიფრა აგრეთვე, როცა ბ ნ „ძველი პედაგოგის“ წერილში (იხ. სამშობლო № 112 „მცირე შენიშვნა“) ამოვიკითხე, ვითომც გამოცდილ მასწავლებლებს ეთქვას-გოგებაშვილის „Руское слово„-მ დაგვტანჯაო და ეს სოფლის ყველა ფხიზელი მასწავლებლების აზრიაო. ექვსი წელია სახალხო მასწავლებლადა ვარ და ამის მსგზავსი არაფერი გამიგონია. პირ იქით, „Руское слово“-ს პირველი ნაწილით ყველა კმაყოფილი იყო, გარდა მთავრობისა.

მიუხედავათ ყოველივე ამისა, „Новое слово“-ს გამოსვლა მაინც ძალიან სასარგებლოთ მ მაჩნია. ეს წიგნი ღირსია იმისი, რომ სერიოზულად შევისწავლოთ და დავაფასოთ. ეს გამოიწვევს გოგებაშვილის მეთოდის გადასინჯვას, პედაგოგიურ აზრთა შეხლა-შემოხლას, მასწავლებლების გამოფხიზლებას, საქმის დაკვირვებას და გაუმჯობესებას. ამიტომ უადგილოა ბ-ნი ლ. ბოცვაძის ირონია და ვერ ვიზიარებ იმ მასწავლებლის აზრსაც, რომელსაც „ეს ოცხელის წიგნი მთელი აღმოჩენაო“, უთქვამს ბ-ნი „ძველი პედაგოგისათვის“, მოუთმენლად მოველი ამ აღტაცებული მასწავლებლის წერილს „Новое слово“-ზედ, როგორც ის ბ-ნ „ძველ პედაგოგს“ დაჰპირებია.

მანამ კი მინდა ჩემი აზრი გავუზიარო სახალხო მასწავლებლებს ამ წიგნის შესახებ. მართალი უნდა ვსთქვა, პირველად ეს წიგნი მეც ძალიან მომეწონა და ვუქებდი ერთ ამხანაგს, რომელიც სულ სხვა აზრისა იყო. შემდეგ უფრო სერიოზულად დავუკვირდი, უფრო გულდასმით გავარჩიე ის და რაც ამას მოჰყვა ქვევით დავინახავთ.

II

უწინარეს ყოვლისა უნდა კარგად გავეცნოთ ახალი სახელმძღვანელოს მეთოდს და აღვნიშნოთ მისი კარგი და ცუდი მხარეები. ამის საშუალებას გვაძლევს წიგნში დართული „Методическія указанія“, რომელიც შეიცავს აღებული მეთოდის მოკლე განმარტებას.

ამ განმარტების დასაწყისშივე ყურადღებას იქცევს ერთი დიდი გაუგებრობა. ავტორი ამბობს: „Существующіе методы обученія русскому языку, переводный и естественный, имѣютъ свои достоинства и недостатки“-ო. (გვ. III). აქ დასახელებული ორი მეთოდი, თარგმნითი და ბუნებრივი, როგორც ვიცით, არც ერთი არ იხმარება ცალცალკე ჩვენს სკოლებში. აქ გაბატონებულია გოგებაშვილის ბუნებრივ-თარგმნითი მეთოდი, რომელიც წარმოადგენს ამ ორი მეთოდის სინტეზს და, როგორც ასეთი, შეძლებისადაგვარად ავსებს ერთიმეორის ნაკლს.

მაშასადამე, ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში, არამც თუ შეგნებულია ავტორისაგან ჩამოთვლილი ნაკლი ხსენებული ორი მეთოდისა (იხ. III და VI გვ.), არამედ დიდი ხანია შემუშავებულია მესამე მეთოდი ამ ნაკლთა თავიდან ასაცილებლად და უცხო ენის შესწავლის გასაადვილებლად.

ამისი აღნიშვნა საჭიროდ მიმაჩნია და ვაფრთხილებ გამოუცდელ მასწავლებლებს, რომ ბუნებრივისა და თარგმნითი მეთოდის კრიტიკა და მათი ნაკლი არ ეგონონ ბუნებრივ-თარგმნითი მეთოდის კრიტიკა და ნაკლი. პირიქით, გოგებაშვილის ბუნებრივ თარგმნითი მეთოდი სწორედ იმიტომაა გამომუშავებული, რომ თავიდან აიშოროს ყველა ის ნაკლი, რაც თან სდევს, როგორც ბუნებრივსა, ისე თარგნითი მეთოდს ცალ-ცალკე. ასე რომ ეს ორი მეთოდი სითითოდ რომ ავიღოთ სულ სხვაა და მათი სინტეზი, რომელიც „Руское словос“-ს უდევს საფუძვლად, სულ სხვა.

თუმცა ასეთ მოკლე წინასიტყვაობაში ყველაფრის თქმა არ შეეძლო ავტორს, მაგრამ რა კი „Новое слово“-მ „Руское слово“-ს მაგიერობა უნდა გასწიოს, აუცილებელი იყო უკანასკნელი წიგნის მეთოდის ახალთან შედარება და არა იმ მეთოდებისა, რომელიც ჩვენ სკოლებში სრულიად არ იხმარებიან.

ყოველ შემთხვევაში ავტორის არაფერს დააკლებდა აღენიშნა, რომ მაზედ უწინ სხვამაც სცადა „найти методъ, въ которомъ возможно было бы соединить достоинства какъ переводнаго, такъ и естественаго методовъ обученія.“ (გვ. V). შემ·

---

*) ამ წერილის დაბეჭდვა სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო დაგვიგვიანდა — რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილი, მოითხოვა, რომ ფრანგულათ გადაეთარგმნათ. როდოსლავოვმა შეასრულა მისი მოთხოვნა და პასუხის ფრანგულათ კითხვა დაიწყო. მაგრამ რუსის დესპანმა იგი მალე შეაჩერა და განუცხადა, რომ მეტის მოსმენა აღარ შეუძლია, რადგან პასუხი მეტისმეტათ თავხედურიაო. (უ. რ.)

რუმინიის პოზიცია.

ბალკანეთიდან გაზეთებს აუწყებენ, რომ საბერძნეთის მთავარ მინისტრის, ვენიზელოსის გადაყენების გამო, რომელიც გერმანიის წინააღმდეგი იყო, რუმინიაში განწყობილება უთუოთ შეიცვლება. თქმა არ უნდა, რომ აწი რუმინია ნეიტრალიტეტს კარგა ხანს მაინც არ დაარღვევს. (რ. ვ.)

რუსეთის ფრონტი.

გაზეთი „რეჩი“ საქმეთა მდგომარეობას რუსეთის ფრონტზე ასე აგვიწერს: მდ. ვილიას ფონების დაკავებისა და სმორგინის ჩრდილოეთით გამაგრების შემდეგ მტრის სვენციან—დვინის ჯგუფი შეურთდა თავისივე ჯარის ვილენის ჯგუფს თავის მოქმედება სამხრეთითაც გაავრცელა, ოშმიანის აღმოსავლეთით. ნოვოვილეისკ—მოლოდეჩნოს ხაზზე დვინსკამდე შეტაკებამ მეტათ მწვავე ხასიათი მიიღო; ნოვოვილეისკსა და მოლოდეჩნოს სამხრეთით დაწყებული ბრძოლა მეტათ სერიოზულ საქმეს იღებს. კიდევ უფრო მწვავე და გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს დვინსკის ახლო. (რ.)

რუმინია, ბულგარეთი, გერმანია.

ბუქარესტიდან უკანასკნელათ გადმოცემული ცნობით გერმანოფილები ირწმუნებიან, რომ თუ ვინიცობა ბალკანეთის ომი ატყდა რუმინია გერმანიასთან კეთილგანწყობილების ნეიტრალიტეტს დაიცავს, და ბულგარეთის წინააღმდეგ მოქმედებას მოერიდება. რუმინია თანახმაა, ბულგარეთს უკანვე დაუბრუნოს დობრუჯა, გარდა სილისტრიისა.

(კ. ს.)

ქრონიკა.

(ქურნალ-გაზეთებიდან.)

რუსეთი.

მემარჯვენეთა კავშირი.

მემარჯვენეთა ახალი კავშირის დამფუძნებელი კრება ამ დღეებში დასრულდა. კავშირს დაარქვეს „მამულიშვილთა კავშირი“, რომელმაც დაადგინა: მემარცხენეთა მოქმედების გაძლიერების გამო მემარჯვენეებმაც თავისი მოქმედება—მოღვაწეობა გააჩაღონ: 1) გახსნან განყოფილებები ფაბრიკებში 2) დაგზავნონ პროვინციებში შეძლებულ ორატორები, 3) იშუამდგომლონ, რომ მოსკოვში მოწვეულ იქმნას სრულიათ რუსეთის მონარქისტთა სიეზდი, 4) თ. ლვოვს პროტესტი გამოეცხადოს, რადგან ის ერობათა კავშირის სიეზდზე უკიდურეს ორატორებს არ აჩერებდა და ლაპარაკის ნებას აძლევდა და სხვა და სხვა...

კ. ს.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ მემარჯვენეებს უნდოდათ ხელმწიფე იმპერატორთან თავის დეპუტაცია გაეგზავნათ მოსკოვის დეპუტაციების საწინააღმდეგოთ, მაგრამ შეჩერდენ, ვინაიდან პასუხი მიიღეს ვისგანაც ჯერ იყო, რომ მოსკოვის დეპუტაციებს არ მიიღებს შემდეგ თქვენი დეპუტაციის მოსმენა უხერხული იქნებაო. (რ. ვ.)

დაიქანცა.

პეტროგრადიდან იუწყებიან, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი, თ. შჩერბატოვი შრომით დაიქანცა და ახლა სოფელში მიდის დასასვენებლათ. (კ. ს.)

არ გამოაქვეყნებენ.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ გადაწყვიტეს ბულგარეთის პასუხი ულტიმატუმზე ჯერ-ჯერობით არ გამოაქვეყნონ. (უ. რ).

ნამდვილი ცნობა.

პეტროგრადიდან კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის ცნობებით მუშათა შორის კომიტეტის არჩევნები, რომელიც 21 სექტემბრისთვის იყო დანიშნული, შედგა სულ 17 მეორე ხარისხოვან ფაბრიკა-ქარხანაში. პეტროგრადის რკინის საკეთებელ დიდ ქარხნისა და სიმენს—შუკერტის ფაბრიკაში არჩევნები არ შედგა, რადგან მუშებმა წინასწარი საზოგადო კრების თავისუფლათ გამართვის ნება მოითხოვეს. (რ. ვ.)

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი.

დღემდე პეტროგრადის მუშებმა აირჩიეს სულ 165 ამრჩეველი, რომელთაც ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში თავისი წარმომადგენელი უნდა გაგზავნონ.

უცხოეთი.

პოლიტიკური კრიზისი ინგლისში.

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთმა გაზეთმა სენსაციური ცნობა დაბეჭდა. სახელდობრ ის, რომ ინგლისის სამინისტროში „კონსკრიპციის სასარგებლო შეთქმულობა“ აღმოჩნდაო. თუმცა შემდეგ ეს ცნობა უარყვეს, მაგრამ გამოირკვა, რომ მსგავსი ამბავი იქ მართლაც მოხდა. საქმე აი როგორ იყო: მინისტრთა უმრავლესობა ინგლისში სამხედრო ბეგარის შემოღებას არ თანაუგრძნობს: რამდენიმეთ—პრინციპიალური მოსაზრებით და რამდენიმეთ იმ საბუთითაც, რომ დღემდე ასეთი რეფორმის საჭიროება კარგათ გამორკვეული არაა. კაბინეტის უმცირესობა, რომელშიაც ცნობილი ლოიდ ჯორჯიც შედის, მოითხოვს, რომ კითხვა ახლავე იქნას გამორკვეული. უფრო გავლენიანი მინისტრები, რომლებიც „კონსკრიპციას“ ემხრობიან, იმ აზრის არიან, რომ კაბინეტმა ახლო მომავალში გადაჭრას ეს კითხვა, რა თქმა უნდა ისე, როგორც მათ სურთ. თუ ამ წინადადებას ვერ გაიყვანდენ ეს მინისტრები, მაშინ მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ სამინისტროდან გასულიყვენ და ამნაირათ ინგლისში სამინისტროს კრიზისი გამოეწვიათ. მათი აზრით, ეს მთავრობას იძულებულს ყოფდა პარლამენტი დაეთხოვა და საზოგადო არჩევნები დაენიშნა, მაშინ კონსკრიპციონისტების აზრით, ხალხიც სამხედრო რეფორმის მომხრეებს მისცემდა ხმას და „კონსკრიპციაც“ გაიმარჯვებდა. ასეთი პლანის განხორციელების მეთაურათ ლორდ კერზონი გამოვიდა; ლოიდ ჯორჯიც, როგორც ზემოხსენებული გაზეთი აღნიშნავს, მომხრე იყო საზოგადო არჩევნების. ჩერჩილი კი უფრო რეფერენდუმს ემხრობოდა. ამ გეგმას და „შეთქმულობას“ გარედან მხარს უჭერდა და ამაგრებდა „კონსკრიპციონისტთა“ ბელადი, ლორდ მილნერი. ამავე „შეთქმულობის“ მომხრე იყო „ნებით თუ უნებლიეთ“ საზოგადოებათა პალატის 40 წევრი (20 ლიბერალი და 20 კონსერვატორი) ასე რომ, საქმე გაჩარხული იყო და ამ დღეებში დასასრული უნდა მისცემოდა.

საზოგადოთ სამხედრო სავალდებულო სამსახურის აზრი ინგლისის ლიბერალურ წრეებში დიდ თანაგრძნობას პოულობს; ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ამ ბოლო დროს ბრძოლის ველზე მომხდარ ამბების გავლენის ქვეშ კაბინეტიც აქეთკენ გადიხარა, მაგრამ იმ ფორმითა და გეგმით ამ აზრის გაყვანა, როგორიც „შეთქმულებმა“ შეიმუშავეს, ამ მომენტში დიდათ სახიფათო იქნებოდა, ამიტომ კაბინეტის მოთხოვნით, თვითონ „შეთქმულთა“ მეთაურმა ლორდმა კერზონმა განაცხადა, რომ ერთ გაზეთში მოხსენებული ცნობა „სამინისტროში შეთქმულობის“ შესახებ ტყუილიაო. მრავალ განცხადებისა და ცნობის მიხედვით თუ განვსჯით, დავინახავთ, რომ ინგლისში დღეს თითქმის ყველა კლასი და წრე საჭიროთ სცნობს, რომ გერმანია დაამარცხოს და ამისთვის საჭიროა მრავალი მსხვერპლი გაიღოს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სამხედრო იძულებითი ბეგარის შემოღების თანახმა მაშინ იქნებიან როცა დარწმუნდებიან, რომ სხვა გზით მტრის დამარცხება შეუძლებელია.

იმის ცდა კი, რომ ინგლისის ხალხს რაიმე „შეთქმულობით“ მოახვიონ თავზე ასეთი კანონი, დიდ აღშფოთებას იწვევს დემოკრატიის მხრით, რაც მუშათა პარტიის განცხადებიდან აშკარათ სჩანს.

სწორედ იმ დღეს, რა დღესაც პარლამენტი გაიხსნა, მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტში ეს კითხვა გაარჩიეს. ტრედიუნიანების ბრისტოლის კონგრესის შემდეგ ძნელი არ იყო კომიტეტის პასუხი წინდაწინვე გვცოდნოდა. და მართლაც, კომიტეტმა ერთხმათ უარყო კონსკრიპცია და დაადგინა: რადგან პრესაში სხვაფრივ აგიტაციაა გამართული, რომლის საშვალებითაც უნდათ „კონსკრიპცია“ ინგლისის ხალხს მიაღებინონ, ამისთვის საჭიროთ მიაჩნია მოწვეულ იქნას სრულიათ ინგლისის მუშების ორგანიზაციების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელიც სპეციალურ რეზოლიუციას შეიმუშავებს და მთავრობას წარუდგენს, რომ მან ამ დამღუპველი აგიტაციის წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღოს. ამას გარდა, მუშების დამოკიდებულება სამხედრო რეფორმასთან ნათლათ გამოიხატა რკინის გზის მუშათა წინამძღოლის, ტომასის სიტყვაში, რომელიც მან პარლამენტში წარმოსთქვა.

არმიაში მუშების მონაწილეობა როგორია, ეს ყველამ კარგათ უწყის,“ სთქვა ტომასმა. ამიტომაც ისინი უარს აცხადებენ სამხედრო რეფორმის კანონ-პროექტები განიხილონ მანამდე, ვიდრე პასუხისმგებელი მინისტრი პარლამენტში არ განმარტავს, თუ როგორია ნამდვილათ ბრძოლის ველზე საქმეთა მდგომარეობა.

მუშებს პრესის კამპანია ვერ შეაშინებს. აბა ერთი დაფიქრდენ ისინი, ვინც სამხედრო სავალდებულო ბეგარას იცავს, თუ რა შედეგი მოყვება ამას.

რკინის გზის მუშათა ყველა ორგანიზაციებმა ბეგრის შემოღება უარყვეს და აღმასრულებელ კომიტეტს განუცხადეს, რომ, თუ ასეთი რამ კანონი გატარდება პარლამენტში, ისინი მაშინვე გაიფიცებიან. ქვეყანამ იცის, რომ ტრედიუნიონებმა ერთხმათ უარჰყვეს „კონსკრიპცია“ და რაც შეეხება ქვანახშირის მუშებს, აშკარავდება, თუ რა აზრის არიან ისინი ამ საგნის შესახებ. თუ სამხედრო მასალის მიწოდების შესახები აქტი 200,000 კაცის საწინააღმდეგოთ ვერ გაატარეს, როგორ გინდათ, რომ სამხედრო იძულებითი ბეგარის კანონი 3.000,000 მუშის წინააღმდეგ განახორციელოთ. ამ საკითხში პირდაპირ ნაციონალურ საფუძველზე უნდა ვიდგეთ. ნუთუ პალატის წევრები იმას მოინდომებენ, რომ, ჩვენივე ქვეყნის [illegible] არეულობის გამო, რაიმე [illegible] ფული ზავი შეიკრას? მუშებს გადაწყვეტილი აქვთ, რომ „კონსკრიპციის“ ბოლომდე ებრძოლონ. პარლამენტმა კარგათ გაითვალისწინოს, თუ რა საფრთხე მოელის ამ მხრით ქვეყანას.

მეც ისევე ვოცნებობ გამარჯვებაზე, როგორც „კონსკრიპციის“ რომელიმე მომხრე, განაგრძო ტომასმა; და ჩვენც მუშებისგან ვთხოულობთ, რომ მათ თავისი ინტერესები ნაციონალურ ინტერესებს დაუმორჩილონ. მაგრამ ამავე დროს პარლამენტს უნდა ვუთხრათ, რომ გამარჯვება შეუძლებელია ისე, თუ ერის ერთობა დაცულ არ იქნება. ვსთქვათ მოხდა არჩევნები: რა მოხდება მაშინ, თუ სამხედრო ბეგარის მომხრეებმა გაიმარჯვეს? თქვენ ფიქრობთ, რომ უმცირესობა არაფერს იტყვის? ან ამ ზამთარში, როცა ცხოვრება 35% გაძვირებულია, მცხოვრებთა მასსების დაწყნარება ძალით არ მოგიხდებათ? საფრთხე დიდი გვქვს და იმის საშიშროებას ვერც შეასუსტებთ! იმ დროს რა წამსაც „კონსკრიპცია“ დაკანონდება, დაჰკრავს საათი და ქვეყანას სოციალური რევოლიუცია მოიცავს! (რ. ვ.)

დეპეშები.

მისი იმპერატორობითი უმაღლესობისაგან კავკასიის მეფის მოადგილის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძისაგან შემდეგი საპასუხო დეპეში მიიღო ქუთაისის გუბერნიის თ. დ. აზნაურთა წინამძღოლმა თ. დ. ო. ნიჟარაძემ.

„გულითად მადლობას ვუძღვნი ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობას ლოცვისა და გამოცხადებულ გრძნობისათვის.

გენერალ ადიუტანტი **ნიკოლოზ.**

ეს დეპეში იმ დეპეშის პასუხია, რომელიც გაუგზავნა თ. დ. ო. ნიჟარაძემ კვირას, 27 ეკ. თავად აზნაურთა არაჩვეულებრივ კრების სახელით:

თფილისი. მათ იმპერატორობითი უმაღლესობას მეფის მოადგილეს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს: „გადავიხადეთ რა პარაკლისი დღეგრძელობისა და ჯანმრთელობის მოსანიჭებლათ მათი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისა და თქვენის იმპერატორობითი უმაღლესობისათვის რათა მიენიჭოს გამარჯვება რუსეთის ძლევა მოსილ არმიას, ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავად აზნაურობა პირველ თავის არაჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნა თქვენი იმპერატორობითი უმაღლესობის საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში ჩამობრძანების შემდეგ ბედნიერათ ჩასთვლის თავს აღფრთოვანებული მისი გრძნობანი უსაზღვრო სიხარულისა განემტკიცოს ცხოვრებაში ახალი ხანის დადგომით.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლმა თ. დ. ო. ნიჟარაძემ შემდეგი შინაარსის დეპეში მიიღო კავკასიის მეფის მოადგილის თანაშემწის ნ. ნ. იანუშკევიჩისაგან.

„გადაეცით ჩემი უგულითადესი მადლობა ქუთაისის თავადაზნაურობას, მათი ჩემდამი გულწრფელი ყურადღებისათვის.

ეს დეპეში იმ დეპეშის პასუხია, რომელიც გაუგზავნა დ. ო. ნიჟარაძემ კვირას, 27 სექტემბერს.

თფილისი მის მაღალ აღმატებულებას კავკასიის მეფის მოადგილის თანაშემწეს ინფანტერიის გენერალს იანუშკევიჩს:

„არაჩვეულებრივი კრება ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობისა, რომელიც პირველად შეიკრიბა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის საზღვრებში თქვენი მობრძანების შემდეგ, დამავალა დავამოწმო თქვენს წინაშე გრძნობა გულითადი პატივისცემისა და გისურვოთ თქვენ ჯანმრთელობა და ძალა, რათა განაგრძოთ ნაყოფიერი მუშაობა თქვენს ახალ ადგილზე და აღასრულოთ დაკისრებული მოვალეობა.

მოვალეთ ვრაცხ თავს პირადათ მივულოცო თქვენს მაღალაღმატებულებას და ვუსურვო ნაყოფიერი და წარმატებითი მოღვაწეობა მომავალ თქვენს სამოქმედო ასპარეზზე,

---

ლება ეს ცდა ბ-ნ ოცხელს არ აკმაყოფილებს: მაშინ უნდა ეჩვენებია მისი ცუდი მხარეები.

ეხლა გავეცნოთ „Новое слово“-ს მეთოდი „Методическія указанія“-ს მე-V გვ. ვკითხულობთ:

„...при изученіи чужого языка, мы должны идти не отъ слова къ фразѣ, а, наоборотъ, отъ фразы къ слову, потому что фраза понятнѣе, чѣмъ отдѣльное слово, взятое изъ нея.“ ცოტა ზევით ამავე გვერდზე სწერია: „...слово должно выясняться изъ фразы, а смысль фразы—из цѣлаго разсказа.“ ასე რომ ამ მეთოდით „...смысль каждой фразы бесѣды освѣщается не предметомъ или рисункомъ, а идеею, вокругъ которой ведется бесѣда.“ (გვ. VII) ამ რიგათ ახალი გზა ასეთია ჯერ ბავშვებს უნდა შევუმუშაოთ დედაენაზედ რთული იდეა. შემდეგ ბავშვებს ვუჩვენებთ შესაფერ სურათს და დედაენაზედ შეთვისებულ მოთხრობას გამოვსთქვამთ რუსულად მარტივი წინადადებებით. რადგანაც ბავშვებმა მოთხრობა და მისი აზრი უკვე იციან, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსულ ფრაზებსაც ადვილად გაიგებენ და შემდეგ ამ ფრაზებიდან მიხვდებიან მის შემადგენელ სიტყვებს. აქ დიდ დახმარებას უწევს, რა თქმა უნდა სურათი. დაბოლოს კი უნდა ვაჩვენოთ ბავშვებს თვით საგნები და მოქმედებანი.

„Такимъ образомъ, мы переходимъ отъ статьи къ картинной наглядности, а отъ послѣдней—къ предметной.“ (გვ. VIII). ასეთია მოკლედ ბ-ნი ოცხელის მეთოდი.

მაგრამ აქ იბადება კითხვა: თუ კი ბოლოს მაინც სურათზე ვან და საგნებრივ თვალსაჩინოებას უნდა მივმართოთ სიტყვების გასაგებად, რაღა საჭირო იყო ამდენი მიკიბულ-მოკიბული გზები: ჯერ დედა-ენაზედ მოთხრობის შემუშავება და იდეის შეთვისება, შემდეგ ამავე მოთხრობის რუსული ფრაზებით გამოთქმა,—და ეს ხომ იგივე თარგმნაა,—შემდეგ სურათის ჩვენება და ბოლოს საგნის. ის არ სჯობია პირდაპირ სურათი ან საგანი ვაჩვენოთ და დავუსახელოთ? ეს ხომ აუარებელ დროს გადაგვირჩენს და უფრო ნათელ-ჰყოფს საჭირო სიტყვების მნიშვნელობას?

ამის საპასუხოთ ავტორი ამბობს, რომ სიტყვას სხვა და სხვა ადგილას სხვა და სხვა აზრი აქვსო, მისი მნიშვნელობა ფრაზიდან გამომდინარეობსო და სწორედ ეს კერძო მნიშვნელობანი უნდა შევასწავლოთ სიტყვისა და არა მისი აბსოლიუტური მნიშვნელობაო. (გვ. V) იქვე მაგალითისათვის მოჰყავს სიტყვა „даю“, რომელსაც სხვა და სხვა ფრაზაში სხვა და სხვა აზრი აქვს.

მართალია ბევრია ასეთი სიტყვები, რომელნიც სხვა და სხვა აზრით იხმარება, მაგრამ რაღა ამ ძნელი სიტყვებიდან დავიწყოთ უცხო ენის სწავლება? განა ცოტაა ისეთი სიტყვები, რომელსაც ერთი მნიშვნელობა აქვს? რად უნდა გავართულოთ და გავაძნელოთ საქმე, როცა შეიძლება ბავშს აჩვენო წიგნი და უთხრა „ это книга.“ რადგანაც книга არაფერს არ ნიშნავს წიგნის გარდა და მუდამ ამ საგანთან გაიგონებს ბავში ამ სიტყვას, ამიტომ ეს საგანი და книга მტკიცე ასოციაციით შეიკვრებიან მის გონებაში სწორედ ისე, როგორც შეკრულა ეს საგანი და „წიგნი.“ შემდეგ თან და თან გადავალთ უფრო რთულ ცნებებზედ და დავიხმარებთ დედა ენასაც, სურათსაც და მოთხრობა-იდეასაც, სადაც რომელი იქნება უფრო ხელსაყრელი სწავლების გასაადვილებლად.

ამას გარდა ავტორის დებულება, რომ „слово должно выясняться из фразы“ არაა საიმედო საშუალება სწავლების პირველ საფეხურზედ მაინც. ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ ჩვენი გონებისათვის უმაღლეს სინამდვილეს წარმოადგენს პირდაპირი, უახლო გრძნობადი მიმღეობა (непосредственное чувствоеное воспріятіе). რასაკვირველია ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ისეთი ცნება, რომელიც არ არის ობიექტის პირდაპირი შთაბეჭდილება, არამედ წარმოადგენს ლოგიურ დასკვნას. ჩვენ ასეთ ცნებებსაც ვენდობით, სინამდვილედ ვსთვლით და ვხმარობთ მათ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასეთი სინამდვილე პირველად ძალიან ბუნდოვანი და გაურკვეველია ჩვენთვის. მხოლოდ კარგი ხნის შემდეგ ხდება ის ჩვენთვის საჯერო და შეუძლია გვერდში ამოუდგეს გრძნობადი მიმღეობით შეძენილ ცნებას ანუ ცოდნას. მაგალითად, კითხვის დროს ხშირად შეხვდება ხოლმე ფრაზაში გაუგებარი უცხო სიტყვა. ჩვენ ვუკვირდებით წაკითხულს, ვიგონებთ ყველაფერს, რაც ამ ფრაზას შეეხება, ვიკვლევთ რა ადგილი უკავია გაუგებარ სიტყვას წინადადებაში და ვცდილობთ მივხვდეთ მის მნიშვნელობას. უმეტეს შემთხვევაში მიზანს ვერ ვაღწევთ და სიტყვა გაუგებარი რჩება, თუ არ მივმართავთ უცხო სიტყვათა ლექსიკონს. იშვიათად მივხვდებით ხოლმე ანუ ამოვიცნობთ ფრაზაში უცხო სიტყვას, მაგრამ ეს ცოდნა ჩვენთვის მაინც საეჭვოა სანამ ლექსიკონით არ შევამოწმებთ. ეს ისეთი ხშირი მოვლენაა, რომ ყოველ მკითხველს ექნება გამოცდილი. ასე ძნელია ფრაზის აზრით სიტყვის გაგება, ლოგიური მოსაზრებით მისი შინაარსის გაშუქება. აი კიდევ, თუ ნებავთ კონკრეტიული მაგალითი. „სახალხო ფურცლის“ №311-ში მოთავსებულია გ. ქიქოძის ფელეტონი: „ძველი მესხეთი“. ამ ფელეტონის მეოთხე სვეტში ასეთი ადგილია: „ტაოკლარჯეთის ნიადაგი მწირი იყო, ბუნება ნაკლებ ნაყოფიერი. მათი დამორჩილება და გამოყენება დიდ რუდუნებას ითხოვდა“. აქ მე პირველად შევხვდი სიტყვა რუდუნებას. წინად ეს სიტყვა არსად წამიკითხავს, არც გამიგონია, ან სრულიად დამვიწყებია. ერთი სიტყვით რუდუნება ჩემთვის ახალი სიტყვაა და ამიტომ გაუგებარი. როგორც ამონაწერის აზრიდან სჩანს რუდუნება უნდა ნიშნავდეს შრომას, ჯაფას, გარჯილობას. მაგრამ ეს ცოდნა ჩემთვის იმდენათ არა—საიმედოა რომ ვერ ვიხმარ სიტყვა რუდუნებას, სანამ ვინმე არ ამიხსნის, ან ბევრჯერ არ შემხვდება სხვადასხვა ადგილას. თუ ჩვენთვის, უკვე განვითარებული მკითხველისთვის, ასე ძნელია დედა აზრის მიხედვით სიტყვის ამოცნობა, რაღა უნდა იყოს ის ჯერ გონება გეუხსნელი ბავშისთვის?

ცხადია ასეთი წესით ენის სწავლება ბავშს ვერაფერს მისცემს, ან თუ მისცემს რასმე, ის იქნება მეტად საეჭვო და არა საიმედო ცოდნა. ასეთი ცოდნით კი ბავში ვერ ისარგებლებს. ამას ბ-ნი ოცხელიც გრძნობს ალბად და ამიტომ უკანასკნელად საგნებრივ თვალსაჩინოებას მიმართავს. მაგრამ ეს უკანასკნელი ზედმეტათ ხდის წინაპარ მოთხრობის შედგენას დედაენაზედ და შემდეგ მის რუსულად თარგმნას. ყველა ეს უსარგებლოდ დროის დაკარგვად უნდა ჩაითვალოს. საგნებრივი თვალსაჩინოება სრულიად საკმარისია ცნების ან სიტყვის გასაგებათ და სადაც ეს არ მოხერხდება, იქ თარგმნა უფრო ადვილი და გასაგებია და უფრო საიმედო ცნობასაც იძლევა, ვიდრე ავტორისაგან ნაჩვენები მეტად რთული და მიკიბულ-მოკიბული გზა.

ვ. ჭანიშვილი.

(დასრულდება შემდეგ ნომერში).

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ამ დღეებში ქუთაისში მოელიან კავკასიის მეფის მოადგილეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს.

◆ კვირას, 27 სექტემბერს, ქუთაისის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივ კრებაზე გადასწყვიტეს: აღიძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, ნება დართონ კონცესიას რკინის გზის გაყვანის ონს—ქუთაისს—წყალტუბოს—ხონს—სამტრედიის შუა.

ამავე კრებაზე ამოირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლათ გუბერნიის წინამძღოლი თ. დ. ო. ნიჟარაძე და თდ. ი. ვ. აფაქიძე. აგრეთვე ერთხმათ დაადგინეს შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რათა ქუთაისის მიხეილის საადგილ მამულო ბანკისათვის დაინიშნოს სპეციალური კაცი მთავრობის წარმომადგენლათ.

◆ 1 ოქტომბერს ქუთაისის ქართულ თეატრში შალვა დადიანის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება გედევანიშვილის ცნობილი პიესა ,,სინათლე''.

◆ შაბათს, 26 სექტემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში კავკასიის ჯარის კაცთა სასარგებლოთ გაიმართა წარმოდგენა რუსულ ენაზე. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, საზოგადოება ბევრი დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა.

◆ შაბათს, 26 სექტემბერს, თბილისიდან ჩამოვიდა ინჟინერი ლისინიანცი, რომელსაც მინდობილი აქვს შეადგინოს გეგმა ქუთაისის მომავალი კანალიზაციისა.

◆ დღეს ქუთაისიდან გაემგზავრება ნაქერალის ქედზე ქიმიკოსი ტყეშელაშვილი და გ. როინიშვილი. ბ-ნ ტყეშელაშვილს მინდობილი აქვს ბაქტერიოლოგიური ანალიზი გაუკეთოს ნაქერალის წყაროებს.

◆ გუშინ დილით, ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი თბილისიდან უკვე დაბრუნდა.

◆ დღეს ჭიათურის შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება შავი ქვის მრეწველთა არაჩვეულებრივი კრება სხვა და სხვა საკითხის განსახილველათ.

◆ ამ დღეებში ქუთაისში მოელიან გამოჩენილ რუსის პოეტს ბალმონტს.

◆ ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დაუნიშნა სტიპენდია აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტის სტუდენტს ილია ასათიანს.

◆ წერა-კითხვის საზოგ. ქუთაისის განყოფილებამ თავის უკანასკნელ კრებაზე სურვილი გამოსთქვა, მიეცეს აწ განსვენებულ პოეტის ვაჟას ცოლ-შვილს ის ფული, რომელიც დარჩა საზოგადოებას მის დასაფლაობის გამო.

◆ შაბათს, 19 სექტემბერს, ქალაქისსანიტარულმა ექიმმა დადუნაშვილმა და ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ დაათვალიერეს აბანოები, წყლის ქარხნები, სხვა და სხვა ,,რესტორანები'' დასუფთაობები გააფრთხილეს პატრონები, რაც შეიძლება, დაიცვან სისუფთავე.

◆ ამ დღეებში ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში მასწავლებლობას თავი დაანება ქ-მა მარიამ იაკობის ასულმა ჩარექოვმა.-ის ზემო-აღნიშნულ სასწავლებელში რამოდენიმე ათეული წლის მიმდინარეობაში ქართულ ენას ასწავლიდა. ითვლებოდა მასწავლებელთათვის საუკეთესო ამხანაგათ, მოწაფეთათვის კარგ მასწავლებლად, დამრიგებელ დედათ და სამაგალითო აღმზრდელად.

◆ ქუთაისის საკათოლიკე ტაძრის გამგე პატრმა დონ-დამიანე სააკაშვილმა ქუთაისის ქალაქის გამგეობას უკვე გაუგზავნა სია იმ ახალგაზდათა, რომლებიც დაბადებული არიან 1896—1897 წლებში.

◆ ქუთაისის მოვაჭრე ფეიქაროვი სთხოვს ქალაქის გამგეობას, მისცენ მოწმობა, ფოთიდან ცემენტის გამოსაწერათ.

◆ ეს სამი წელიწადია, რაც ქუთაისის საბჭომ გადასწყვიტა სასაფლაოს გზის გაკეთება, მაგრამ დღესაც გზა გაუკეთებელია. საჭიროა ახლა მაინც მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს.

◆ ს. ბასილეთის (გურია) საზოგადოებამ დაადგინა გაიხსნას კოოპერატივი ამ სოფელში.

◆ ეს ერთი კვირაა, რაც ქუთაისში კარგი ამინდები დაიჭირა ახლო მახლო სოფლებში რთველი უკვე დაიწყო.

მოწერილი ამბები.

საჩხერის რაიონი.

სოფ. ბჟინევში 18 სექტემბერს მოკლეს სიმონ გიგოს ძე აბდუშელიშვილი; ის დილაზე ტყეში სამუშევრათ მიდიოდა და როგორც კი მიახლოვებია ტყეს ამ დროს მისთვის შეინევლ კაპანაძეებს დაუშინათ კეტი, იგი სადამოზე გარდაიცვალა. აბდუშელიშვილი შუა ხნის კაცი და ცოლ-შვილის პატრონი იყო.

— საჩხერის რაიონში დიდათ გავრცელდა ქურდ-ბაცაცობას თარეში. დღე არ წავა, რომ ან სიმინდი ყანაში, და ან სხვა რამე არ მოიპარონ. საჭიროა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს, და იხსნას ხალხი ასეთ ნაძირალებისაგან.

სოფ. კალუათაში 18 სექტემბერს გამოვიდა ადგილობრივ საჩხერის პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ამ. სულამანიძე, რომელმაც გამოიყვანა 20 ზემოხსენებული სასწავლებლის მოსწავლეები, სულამანიძე მივიდა ისეთ ოჯახებში, სადაც სრულიად მოკლებული არიან მუშა ხელს, სადაც მარტო ქალები არიან და არ შეუძლიათ არავითარი მუშაობა, ბ-ნ სულამანიძის გამგეობით მოსწავლეებმა შეასრულეს ყველა სამუშევარი, რაც კი ჭირდებოდათ უპატრონოთ მიტოვებულ ოჯახებს. მოსწავლეებმა მოსტეხეს სიმინდი, გაარჩიეს, მოჩეხეს ჩალა და ყველა ფერი შეუნახეს. ბ-ნ სულამანიძეს განზრახვა ქონია, რომ კიდევ ბევრს გაუწიოს ასეთი დახმარება.

კარგი იქნება სხვებიც მას წაბაძავდენ და ასე თუ ისე ცოტათი მაინც ნუგეშს მისცემდენ სოფელში უმუშახელოთ მიტოვებულ ოჯახებს.

— ადგილობრივ საჩხერის წიგნსაცავ სამკითხველოს გაზეთები ნაკლებათ აქვთ გამოწერილი, საჭიროა გამგეობამ სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთები მოუმატოს.

— ადგილობრივ სადგურის რკინის გზის მოსამსახურეები ცუდათ ატარებენ თავისუფალ დროს. არცერთს მათგანს არა აქვს გამოწერილი ჟურნალ—გაზეთები და არც აინტერესებს დღევანდელი დრო.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

ს. იაშვილი.

„მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა.“

ამ მოკლე ხანში ასეთი სათაურით გამოვიდა წიგნი, რომელიც სახელმძღვანელოთ არის მიღებული ჩვენ ქართულ გიმნაზიებში. მე არც დრო მაქვს და არც სურვილი, რომ თავიდან ბოლომდის გავარჩიო ეს წიგნი, რადგანაც ასეთი ჩემი ჯაფა არავისთვის სასარგებლო არ იქნება. მე მხოლოდ რამდენსამე ნიმუშს აღვნიშნავ ამ წიგნის დასაწყისიდან დანარჩენი—კი თვით მკითხველმა დააფასოს.

„ყოველივე, რაც ჩვენს გარშემოა და რაც ადამიანს არ გაუკეთებია, ბუნებაა“ სწერია მეხუთე გვერდზე.

ბ. იაშვილო! სხეული რაღა არის? მე მგონია, რომ თქვენ განმარტებას რაღაც აკლია!

„დედამიწა, ცხოველი, მცენარე, ქვა, წყალი, ჰაერი—ყოველივეს ადამიანის გაკეთებული არ არის და ამიტომაც ბუნებაა, ანუ ბუნებრივი სხეულებია,“ო სწერია ამავე გვერდზე.

ნუ თუ ბუნებრივი სხეული და ბუნება ერთი და იგივეა, ანუ ქვა, წყალი, ჰაერი—ბუნებაა?!!

ყოველივე ეს მარტო ბუნების ნაწილია და არა ბუნება! ბუნება არის თვალ-უწვდენელი სივრცე, რომელშიაც უხილავი სხეულებია; სხეულთა აი ეს კრებული „(въ совокупности)“ შეადგენენ ბუნებას.

„ბუნების მეტყველებაში უმთავრესად ბუნებრივი სხეულებია შესასწავლი, ხოლო სხვათა შორის ბუნების მოვლენანიც.“ სწერია იმავე გვერდზე.

ბუნების მოვლენანი შეისწავლება ფიზიკაში და ქიმიაში;

ბუნებრივი სხეულების შესასწავლათ ჩვენ ვხმარობთ ცდას და დაკვირვებას, ცდით და დაკვირვებით ჩვენ ვიგებთ ბუნებრივი სხეულების საზოგადო და კერძო (частное) თვისებებს, რითაც ხასიათდება ყოველი სხეული. სხეულები ახდენენ სხვა და სხვა მოვლენებს ბუნებაში, ეს მოვლენებიც ახასიათებენ სხეულებს, მაგრამ თვით მოვლენების შესწავლა, საზოგადოთ, არის საგანი ქიმიისა და ფიზიკისა, რომელნიც ეხლა გამონაწილებულია ბუნების მეტყველებიდან.

გადმოშალეთ ფურცელი მეექვსე და თქვენ წაიკითხავთ:

„არა ცოცხალ ბუნებაშიაც სხეულები თავიანთ თვისებით განირჩევიან: სხეულები მაგარი, სითხე და გაზები, ქვა, მინერალი, ლითონი და სხვა. . . . .

„(ვერ არის კარგი ქართული)“

რას ნიშნავს ეს წინადადება? განა ცოცხალ ბუნებაში არ არის მაგარი და სითხე—სხეულები? თვით ბ. იაშვილი და ის რძე, რომელიც მან—სწოვა—რომელ ბუნებას ეკუთვნიან?!?

განა სხეულის რომელიმე მდგომარეობა (состояніе) ახასიათებს მას, თუ რომელ გვარ სხეულებს ეკუთვნის სხეული?!!

შემდეგ ბ. იაშვილი ჩამოსთვლის მაგარ სხეულებს და ბრძანებს „ქვა, მინერალი, ლითონი. . . .“

ქვაც ხომ მინერალია და თუ ბუნების მეტყველება არ იცის—ლოღიკა ხომ უნდა შერჩენოდა. არ ვიცი, რას იტყოდა ბ. იაშვილი მე რომ მეთქვა: „ცოცხალ იუნებას ეკუთვნიან:

ძაღლი, ცხოველები!! —და სხვა.

მეშვიდე გვერდზე სწერია: „მაგარი სხეული ყველაზედ უფრო მძიმეა. . . .“ ამას მე სიტყვების წამოროშვას ვეძახი, რადგანაც აქ არ არის ნათქვამი, რომ შედარების დროს ჩვენ უნდა ვგულისხმობდეთ ერთსა და იმავე გარე შეცულობას (объемъ), თორემ ნუ თუ ერთი მაგარი სხეული, მაგალითად კალამი (перо) მძიმეა ერთ კოკა წყალზედ?!?

დავსტოვებ მერვე გვერდს, თუმცა აქაც არის შესანიშნავი ადგილი, მაგალითად, „სხეული თავის სიმძიმით აწვება ან სასწორის ჯამს და ან სასწორის მავთულს“ო.

ეს რა სასწორის ჯამია ან რა მავთულია? სასწორის თეფში სრულებით ჯამს არ მიაგავს! და „პრუჟინიანი“ სასწორის „პრუჟინა“ სრულებით მავთული არ არის!!

მეცხრე გვერდზე ბ. იაშვილი გვიხსნის, რომ ქარი წარმოდგება სითბო სიცივის გამოო. როცა პაპა ჩემი ბუნების—მეტყველებას სწავლობდა—მაშინ სწორეთ იაშვილისებრ უხსნიდნენ ხოლმე ქარის გაჩენას; ეხლა-კი მიღებულია, რომ ქარს ჰბადავს ჰაერის გაუთრთოება (разность барометрическихъ давленій)

მეცხრე გვერდზე არის სათაური „ქარი.“ თქვენ, რასაკვირველია, გგონიათ, რომ ავტორი აქ აგვიხსნის, თუ რა არის ქარი, როგორ წარმოსდგება, რა გვარი ქარებია და სხვა.

თქვენ გინდათ გაიგოთ, თუ რა არის ქარი, მაგრამ ავტორი გეუბნებათ: „აი ამ მოვლენის გამო წარმოსდგება ქარი“ო აბა, წადით და გაიგე, თუ რა არის ქარი!! შემდეგ ავტორი გადადის მასზე, თუ როგორ ფართოვდება წყალი და მაგარი სხეული. ბ. იაშვილო, თქვენ დაჰპირდით ქარზე ბაასს (бесѣду) და წყლის და მაგარი სხეულების გაფართოებაზე როგორ გადაბრძანდით!! „საიდან სადაო—წმიდაო, საბაო“ იტყოდა ქართველი კაცი. სომეხი—კი დაუმატებდა: „მახლაბ!“

მერე წყლის გაფართოებაზე რომ ბაასობდა ბ. იაშვილი ძლიერ მოგვატყუა, რაც ბრძანა: „ხოლო ბოთლი რო გავაცივოთ, მაგალითად, თოვლით სავსე ჭურჭელში (რომ სავსე არ იყოს—არ შეიძლებოდა?!) ჩავდგათ—წყალი მილში ძირს დაიწევს, მაშასადამე ბოთლში წყალი შეკუმშვას „იწყებს“. ღმერთმა დაგვიფაროს განსაცდელისაგან! ეგრე რომ ხდებოდეს ბუნებაში, როგორც ბ. იაშვილი ბრძანებს, რომ ოკეანები და ზღვები ხომ ყინულად გარდაიქცეოდნენ და მდინარეების, ტბების, ზღვებისა და ოკეანის ცხოველები გაწყდებოდნენ|

როცა წყალი ცივდება ჯერ იკუმშება, შემდეგ კი, როცა მისი ტემპერატურა დავა ოთხი გრადუსის სითბოზე (ცელსიუსის ტერმომეტრით)—მაშინ წყალი სიცივით აღარ იკუმშება; სიცივით მხოლოთ ფართოვდება. თუ რომ ბ. იაშვილი დააცდიდა თავის ცდას და ბოთლში წყალი გაცივდებოდა ნოლ გრადუსამდე—მაშინ ნახავდა, რომ ბოთლში წყალი აღარ დაეტევოდა ბოთლს გახეთქავდა. აბა, რად უნდოდა ბ. იაშვილს წყლის აღება, რომელიც არ ემორჩილება საზოგადო კანონს სითბო-სიცივისას? უფრო ადვილი არ იყო ეჩვენებინა მოწაფეთათვის სითბოს საზომი (ტერმომეტრი)?

მეთერთმეტე გვერდზე ბ. იაშვილი ტერმომეტრზე ბაასობს და „წყლის გაყინვის წერტილის“ გასაგებათ ტერმომეტრს „ყინულით სავსე ჭურჭელში (კიდევ სავსე—თითქო ნახევრად არ შეიძლებოდა?!) სდებენ“. ნუ თუ ყინულს ყოველთვის ერთი და იგივე ტემპერატურა აქვს?!? ყინულს ხომ შეიძლება ჰქონდეს 40 გრადუსი სიცივე და მეტიც. თქვენ აქ ერთი რამ უბრალო და უმნიშვნელო გარემოება დაგვიწყებიათ. ყინული, რომელშიაც სდებენ ტერმომეტრს, უნდა დნებოდეს, მხოლოთ ასეთ ყინულს აქვს უცვლელი სითბო (постоянная] темперъ.

ასეთივე შეცდომა მოსვლია ბ. იაშვლს, როცა ბრძანებს, რომ „დუღილის წერტილის“ გასაგებათ ტერმომეტრს „მდუღარე წყალში სდებენო“ მდუღარე წყალს სხვა და სხვა სითბო აქვს. შეიძლება მდუღარე წყალში ტყვია დადნეს; უფრო უკეთ იქნებოდა, რომ გეთქვათ „მდუღარე წყლის ორთქლში სდებენ დუღილის წერტილის გასაგებათ—(სხვა გარემოებებს თავი დავანებოთ).

მეცამეტე გვერდზე სწერია „საქაჩავით ჰაერი გამოვაცალოთ“ საქაჯავს ქართულში ეძახიან მას, რასაც რუსები უწოდებენ прессъ-ს და ამიტომ „ჰაერის საწოვს“ (воздутнит насось) საქაჯავი არ დაერქმევა!! შემდეგ აქვე ამბობს „ჰაერი 77 ჯერ უფრო მსუბუქია, ვიდრე წყალი“-ო ეს შეცდომა არ არის ნაჩვენები თავში, სადაც შეცდომების გასწორებაა. უნდა იყოს: „ჰაერი 770 ჯერ უფრო მსუბუქია...“ ჩვენ გვგონია, რომ ესეც კმარა სანიმუშოთ და ამიტომ. და სიტყვას აღარ ვაგძელებთ.

ვურჩევთ ბ. იაშვილს, რომ ქართულად ნაწერი სხვა მეცნიერული წიგნები გადაიკითხოს ტერმინებისთვის.

მაგალითად „ჟ ნგმბადი'' (кислородъ). ბ. იაშვილი ხმარობს ,,მჟავბადს'' ,,ჟანგმბადის'' მაგიერ.

პროფ. პეტრიაშვილი თავის თხზულებაში ,,ღვინის დაყენება'' მეათე გვერდზე ხმარობს ,,ჟანგ-მბადი''. მედიცინის დოკტორი თიკანაძე თავის წიგნში: ,,მოგზაურობა სისხლის წვეთისა'' გვერდი 32—ხმარობს ,,ჟანგმბადი''. ეტყობა იაშვილს არა სურს მიბაძოს. ჩვენ ვარწმუნებთ და თვით იაშვილმაც იცის, რომ ,,ჟანგმბადი'' მართლა ,,ჟანგს'' მბადავს და არა ,,მჟავეს''. და ,,ჟანგმბადი'' უმშვენიერესი გამომხატველი [illegible] საგანისა, რომელსაც [illegible] დებთ.

მ. ზ.—შვილი.

ღია წერილი.

გაზ. ,,საქართველოს'' რედაქტორს ბ. ალ. მანშიაშვილს.

მ. ხ!

დიდად ამ ჩემი წერილის გამოქვეყნებისა, ერთი კვირის განმავლობაში გთხოვთ თქვენ, ბ. რედაქტორო, ნიღაბი ახსენით და თავის ვინაობა გამოამჟღავნებინოთ იმ პირს, რომელიც თავის თავს ვიღაც ,,ციცინათელად'' ინათლავს და მე კი თქვენი გაზეთის ფურცლებზე (იხ. №102) მამკობს ათასგვარ მარგალიტებით, რომლებიც წარმოადგენს ნამდვილ ცილის წამებას და მტკნარსა და მიუტევებელს სიცრუეს, რითაც ჩემი პიროვნება შელახულია, ჩემი სახელი და ღირსება დამცირებულია, თქვენის გაზეთის წყალობით.

იმედი მაქვს, ჩემს კანონიერ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებთ და მით შეძლებას მომცემთ ჩემი მოწინააღმდეგე პირდაპირ დავინახო და მას შესაფერი პასუხი მოვსთხოვო, წინააღმდეგ შემთხვევაში მე თქვენთან მექნება საქმე და იძულებული ვიქნები თქვენთვის არა სასურველ გზას დავადგე.

ბოდიშის მოხდით კიდე უნდა დაუმატო შემდეგი: თქვენ თქვენსავე რედაქციაში რომ შეგეკრიბათ ცნობები ჩემ შესახებ, დარწმუნებული ვარ თქვენ ისეთ წერილს თქვენ გაზეთში ადგილს არ მისცემდით, რადგან მანდ ბევრი იმყოფებიან ისეთნი რომლებიც მე დახლოებით მიცნობენ.

ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს სასწავლებლის სადვთო სჯულ. მასწ. **მღვდ. გერვასი ბარათაშვილი.**

ვთხოვ გაზეთის „თანამედროვე აზრის'' და სახალხო ფურცლის რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ. **გვრ. ბ—ძი.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა დ ა ა მ დ ღ ე ე ბ შ ი გ ა მ ო ვ ა

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა

ხამსონ დითეშიძის ქართული დედანისადა ხამხატვრო ნიმუშებისა.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ლექსანდრე ი. კოსტავასი.

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში

მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:

„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,

შედგენილი ს. რ. **გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი

ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან